

### III თავი ბსუ-ში სწავლის საფასური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან (ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან) დაკავშირებული რეგულაცია მოცემულია „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 3**).

ბსუ-ში სწავლის საფასური განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ყოველწლიურად მტკიცდება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი, არჩევითი საგნები, კოეფიციენტები და სწავლის საფასური), რომელიც აისახება სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ბსუ-ს სტუდენტი, გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა 100%-იანი სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი ან პროგრამული დაფინანსება, ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი.

ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დასაწყისში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დგინდება ბსუ-ს სტუდენტთა მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი - სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის თარიღი. ბსუ-ს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის პერიოდი განისაზღვრება ამ პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმის (ხელშეკრულების) პირობების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის ნაწილ- ნაწილ (ეტაპებად) გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა, რაც არ გამორიცხავს სტუდენტისათვის მთელი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას (სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური, თუკი შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 1 აპრილამდე პერიოდში).

დოქტორანტი, როგორც სტუდენტი, გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას ამ წესითა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში. სასწავლო კომპონენტის - არანაკლებ 60 კრედიტის საფასურის გადახდა ხორციელდება პირველ სასწავლო წელს. სამეცნიერო კომპონენტის შესრულებისათვის საჭირო თანხის (სამეცნიერო ხელმძღვანელის მოწვევის, ადმინისტრაციული ხარჯის და სხვა) გადახდის ვალდებულება კი, თანაბრად ნაწილდება დოქტორანტის მომდევნო ორი სასწავლო წლის განმავლობაში. დოქტორანტის სწავლის საფასურთან დაკავშირებული ვალდებულება აისახება მის მიერ ხელმოწერილ „ხარჯთაღრიცხვაში“, რომელიც არის ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ან ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე, ველში „სწავლა“ ([www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)).